გაკვეთილზე დაკვირვების ფორმა

სკოლა: ტახტისძირის საჯარო სკოლა კლასი: IX

პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის გაკვეთილის რიგითობა: I გაკვეთილი

ჩატარების თარიღი: 16.10.2017 წელი დრო: 14:05 საათი.

მასწავლებელი: თამარ ლომიძე

1	გაკვეთილის დასაწყისში მოსწავლეებს გავაცანი და გასაგებად ავუხსენი გაკვეთილის მიზნები	დიახ	არა	ნაწილობრივ
კომენტარი:გაკვეთილის დასაწყისში მოსწავლეებს ვთხოვე გონებრივი იერიშის მეთოდით დაეფიქსირებინათ საკუთარი აზრი იმის შესახებ,თუ რა ასოციაციები უჩნდებოდათ ,,პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის“ შესახებ.შემდეგ ანალიზი გავუკეთე მათ მიერ დასახელებულ ასოციაციებს და მივაწოდე ინფორმაცია ახალი საგნის შესახებ. გავაცანი თუ რამდენად მნიშვნელოვანია კონკრეტული პროფესიის არჩევისას საკუთარი ცოდნისა და უნარების გააზრება.ამასთანავე მივაწოდე ინფორმაცია,რომ ისინი ჩართულნი იქნებიან სხვადასხვა აქტივობებში.მათი ინტერესების გათვალისწინებით მოეწყობა სასწავლო ექსკურსია სხვადასხვა საგანმანათლებლო და დასაქმების ორგანიზაციებში,სადაც გაეცნობიან სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლების სამუშაო გარემოს და მუშაობის სპეციფიკას,შეეძლებათ მათთან გასაუბრება და კონკრეტული პროფესიის შესახებ მიიღებენ იმ კითხვებზე პასუხებს რომლებიც მათ აინტერესებთ.			
2	გაკვეთილზე გამოვიყენე წინასწარ გამზადებული საჭირო მასალა	დიახ	არა	ნაწილობრივ
კომენტარი:გაკვეთილზე თვალსაჩინოებისათვის და მოსწავლეთა მაქსიმალური ჩართულობისათვის გამოვიყენე რესურსად ,წინასწარ ფორმატზე გამზადებული მასალა:კლიმოვის კლასიფიკაციისა და ჰოლანდის ტიპოლოგიის შესახებ.ფორმატი გავაფორმე ფერადი მარკერებით,ამასთანავე მოვიძიე ინტერნეტის საშუალებით ევგენი კლიმოვის ფოტო და ბიოგრაფიული ცნობები,რომელიც ამოვბეჭდე A4 ფორმატის ფურცელზე და განვათავსე დიდ ფორმატზე,სადაც მისი კლასიფიკაციის ჩამონათვალი მქონდა,რათა მოსწავლეთათვის უფრო აღქმადი და გასაგები ყოფილიყო ამ ფსიქოლოგის თეორიები.იგივენაირად გავაკეთე ჰოლანდის ტიპოლოგიაც.ასევე წინასწარ A4 ფორმატის ფურცელზე ამოვბეჭდე რამოდენიმე ადამიანის შემთხვევა,რომლისთვისაც მოსწავლეებს პროფესია უნდა შეერჩიათ.წინასწარ მქონდა ამასთანავე ამობეჭდილი კითხვარებიც,რომლისთვისაც პასუხები უნდა გაეცათ და მოეხდინათ საკუთარი ინტერესების გამოკვეთა.			
3	მოსწავლეებს ჰქონდათ საშუალება დაესვათ შეკითხვები, დაეზუსტებინათ გაუგებარი საკითხები	დიახ	არა	ნაწილობრივ
კომენტარი:მოსწავლეები ყურადღებით ისმენდნენ ახალ მასალას და სვამდნენ გაუგებარ საკითხებზე კითხვებს,რაზეც იღებდნენ ჩემგან ამომწურავ ინფორმაციას.ძალიან მოეწონათ კერძოდ კლიმოვისა და ჰოლანდის თვითსაკვლევი ტესტი,აინტერესებდათ სხვა ქვეყნებშიც თუ სწავლობდნენ პროფესიულ			

ორიენტაციას ამ ფსიქოლოგების თეორიებზე დაყრდნობით.ასევე აინტერესებდათ მათი სასურველი პროფესიიდან გამომდინარე,თუ შეძლებდნენ ექსკურსიის ფარგლებში ცნობილ ქართველ ფეხბურთელთან შეხვედრას,მსახიობებთან შეხვედრას,პოლიციის აკადემიის რექტორთან შეხვედრას და ა.შ.

4	დაგეგმილი აქტივობების ინსტრუქცია მკაფიოდ და გასაგებად ავხსენი	დიახ	არა	ნაწილობრივ

კომენტარი:გაკვეთილით გათვალისწინებული ყველა აქტივობა ამომწურავად და გასაგებად ავუხსენი მოსწავლეებს.მათ სიღრმისეულად განვუმარტე თუ რა არის პროფესიული ორიენტაცია.რამდენად შესწევთ უნარი და შესაძლებლობები იმ პროფესიაში მუშაობის ,რომელიც მათ აინტერესებთ.გაკვეთილის ახსნისას მოსწავლეებს უკეთ რომ გაეგოთ მასალა ,მომყავდა მაგალითები კლასგარეშე მასალებიდან,რითაც ვეხმარებოდი მათ არსებული ცოდნის ახალ ცოდნასთან დაკავშირებაში.ამ ყოველივეს კარგად გასაანალიზებლად ისინი ჩავრთე ჯგუფურ მუშაობაში,სადაც კონკრეტული პიროვნებისთვის მისი პიროვნული თვისებების მიხედვით უნდა შეერჩიათ პროფესია.

5	გაკვეთილის მიმდინარეობისას უზრუნველყოფილი იყო მოსწავლეთა აქტიური ჩართულობა	დიახ	არა	ნაწილობრივ

კომენტარი:მოსწავლეებმა განმარტეს თავისი აზრით თუ რას ნიშნავდა პროფესიული ორიენტაცია,კარიერის დაგეგმვა.ისინი აქტიურად ერთვებოდნენ საგაკვეთილო პროცესში .მათ ჯგუფური მუშაობის მეთოდით შეურჩიეს პროფესია კონკრეტულ ადამიანებს,ასევე შეავსეს კითხვარები,თუ რომელ პროფესიაში წარმოედგინათ თავი,რა ინფორმაციის მიღება სურდათ პროფესიებზე,რომელ ორგანიზაციებში სურდათ წასვლა რომელიმე პროფესიის გაცნობის მიზნით და ასევე რა პროფესიის ადამიანთან ისურვებდნენ შეხვედრას.

7	გაკვეთილის მიმდინარეობისას შექმნილი იყო კეთილგანწყობილი და თანამშრომლობითი გარემო	დიახ	არა	ნაწილობრივ

კომენტარი:ჩემს ყურადღებას და კეთილგანწყობას ყველა მოსწავლეს თანაბრად ვუნაწილებდი,ისინი აღმიქვამდნენ პარტნიორად და შექმნილი მქონდა თბილი,კეთილგანწყობილი,თანამშრომლობითი გარემო.შევქმენი ისეთი საგაკვეთილო სიტუაცია,რომ სხვადასხვა ინტერესისა და შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებს შეძლებოდათ საკუთარი აზრის გამოხატვა.ასეთი დამოკიდებულებით ისინი იყვნენ უფრო შემოქმედებითები და გულწრფელად გამოთქვამდნენ საკუთარ შეხედულებებს.

8	ჯგუფის მართვისას წავაწყდი პრობლემებს (დააკონკრეტეთ)	დიახ	არა	ნაწილობრივ

კომენტარი:კლასში მყავს 6 მოსწავლე.ამიტომ ჯგუფის მართვისას პრობლემა არ შემქმნია.სამივე აქტიურად იყო ჩართული საგაკვეთილო პროცესში.

9	გაკვეთილზე გამოყენებულმა მეთოდებმა ხელი შეუწყო მონაწილეთა ჩართულობას და ინფორმაციის ათვისებას (მაგ., პრეზენტაციის, ჯგუფური მუშაობის თუ სხვა გზით)	დიახ	არა	ნაწილობრივ
კომენტარი:მონაწილეები აქტიურად ჩაერთვნენ საგაკვეთილო პროცესში ,მათ დიდი ინტერესი გამოიჩინეს ამ საგნის მიმართ.სწავლებაში გამოვიყენე მრავალფეროვანი სტრატეგიები და ჩავრთე მოსწავლეები ისეთ საქმიანობებში,რომელიც უკავშირდება რეალურ ცხოვრებას,კერძოდ მათ შეურჩიეს პროფესია ამა თუ იმ ტიპის ადამიანს.ამ აქტივობების შესრულებით მათ საკუთარი უნარებისა და შესაძლებლობების გააზრებაც შეძლეს და გაანალიზეს რომ პროფესიის სწორად არჩევა დამოკიდებულია მათ ინტერესებზე,უნარებსა და შესაძლებლობებზე.			
10	აქტივობების წარმართვისას წავაწყდი გარკვეულ პრობლემებს (მიუთითეთ კონკრეტულად)	დიახ	არა	ნაწილობრივ
დაასაბუთეთ პასუხი:მაგალითად ერთ მოსწავლეს საკუთარი თავისთვის პროფესიის შერჩევაზე დიდი დრო დასჭირდა,რის გამოც კითხვარის შევსებისთვის განსაზღვრულ დროში ვერ ჩაეტია,ამიტომ გაკვეთილის გამოსვლის შემდეგ შესვენების პერიოდი ამ მოსწავლეს დავუთმე.			
11	მოსწავლეებმა გაიაზრეს მოდულით გათვალისწინებული თემის შინაარსი და მისი მნიშვნელობა	დიახ	არა	ნაწილობრივ
დაასაბუთეთ პასუხი:მოსწავლეებმა გაიაზრეს თუ რას ნიშნავს პროფესიული ორიენტაცია და კარიერის დაგეგმვა.მათ გაანალიზეს,რომ თუ სწორად აირჩევენ პროფესიას,წარმატებებსაც ადვილად მოიპოვებენ ცხოვრებაში,ექნებათ პროფესიული ზრდა და კვალიფიკაციასაც აიმაღლებენ.ასევე გაეცნენ ჰოლანდისა და კლიმოვის კლასიფიკაციას,გააანალიზეს თუ რა პროფესია შეეფერება ,ამა თუ იმ თვისებისა და შესაძლებლობის ადამიანს.შეურჩიეს პროფესიები კონკრეტულ ადამიანებს და ამასთანევე შეავსეს კითხვარები საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების მიხედვით.			
12	მოდულით გათვალისწინებული დრო საკმარისია აქტივობების განსახორციელებლად	დიახ	არა	ნაწილობრივ
დაასაბუთეთ პასუხი:დრო გათვლილი და გადანაწილებული მქონდა,ვცდილობდი ჩემს მიერ ჩატარებული გაკვეთილი ყოფილიყო არც ძალიან ნელი და მოსაწყენი და არც ზედმეტად სწრაფი.თუმცა ჰოლანდისა და კლიმოვის კლასიფიკაციის გაცნობას ცოტა მეტი დრო, რომ ეთმობოდეს უფრო სიღრმისეულად განვიხილავდით ტიპოლოგიის თითოეულ ჯგუფს.			

13	საგაკვეთილო პროცესს წარვმართავ ისე, რომ სსსმ მოსწავლე ჩართული იყოს აქტივობებში	დიახ	არა	ნაწილობრივ
დაასაბუთეთ პასუხი: სსსმ მოსწავლე არ მყავს კლასში.				